



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000011155450517

№ ს-1026

29 / დეკემბერი / 2017 წ.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმღები კომისიის შექმნის თაობაზე**

აქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. შეიქმნას მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე-მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- გივი კიუტაშვილი;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - გოგი აბუაშვილი;

გ) კომისიის მდივანი -მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის, ინფრასტრუქტურის განყოფილების მესამე რანგის მემამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თინათინ მელიქიძე. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას და არ ჰონაწილეობს ხმის მიცემის პროცესში.

დ) კომისიის წევრები:

დ.ა) სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - რევაზ ელოშვილი;

დ.ბ) ზედამხედველობის სამსახურის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მერაბ თუხარელი;

დ.გ) სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნუგზარ ამერლიშვილი;

2. კომისია უზრუნველყოფს მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მიღებას და განხილვას. პროექტთან დაკავშირებით კომისიის შენიშვნები და რეკომენდაციები აისახება სხდომის ოქმში.

3 ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

1. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. #17) კაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი



გიორგი კაპანაძე